თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ. თელავი 2019 წლის 24 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ღაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ლევან ოთიურიძე, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები: დავით გოგოშვილი, ტიტე დარეჯანიშვილი, ლევან მრელაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, აბრამ მახარიაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, გიგა მამუკელაშვილი, მაია მარკოზაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ლია ფარსადანიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ნუგზარ ბაჩიაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 28 დეკემბრის #70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 28 დეკემბრის #70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს 2019 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთის ნაწილის ასახვაში, რომლითაც მოხდება ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში გარდამავალი პროექტების, ვალდებულებების და 2019 წლის განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება.

ნაშთის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით, გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის 582, 902 ათ. ლარის ასახვით, თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრება 27 874.87 ათ. ლარის ოდენობით.

ცვლილებები ეხება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის, ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის, გარემოს დაცვის, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის, სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის, ბინათმშენებლობის, წყალმომარაგების, კეთილმოწყობის, ჯანდაცვის ღონისძიებებს.

არჩილ თვალიაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ცვლილებებში გათვალისწინებულია საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნები და იგი მხარს უჭერს აღნიშნულ ვარიანტს.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 28 დეკემბრის #70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე